

**შპს “ევროპული სკოლა”
ლიტერატურულ-თეატრალური კლუბი “პუმკინის სკოლა”**

კლუბი “პუმკინის სკოლა” არის ახალგაზრდული არაფორმალური ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს ქ. თბილისის შპს “ევროპული სკოლის” მე-5 მე-12 კლასელ მოსწავლეებს.

სტრუქტურა

კლუბის მოღვაწეობა დაფუძნებულია ნებაყოფლობითობაზე, თანასწორობასა და თვითმართველობის პრინციპებზე, აგრეთვე თავისუფალ სიტყვაზე.

კლუბი არ არის იურიდიული პირი. ნამდვილი წესდება შედის ძალაში მას შემდეგ რაც დამტკიცდება საერთო კრებაზე - კლუბის წევრთა ორგანიზაციულ სხდომაზე.

კლუბს აქვს თავისი ემბლემა და ლოზუნგი. კლუბის დევიზია:

“В клуб пришел, не хмурь лицо. Будь веселым до конца. Ты не зритель и не гость, а программы нашей гвоздь”.

კლუბს აქვს თავისი ფონოტეკა და ბიბლიოთეკა, თვალსაჩინოების მასალა.

კლუბის სამუშაო გრაფიკი

კლუბი იკრიბება კვირაში ორჯერ, სამშაბათობით და პარასკევობით. კლუბის მდივანი ვალდებულია გამოაკრას თვალსაჩინო ადგილას კლუბის მუშაობის განრიგი და შეხვედრის ადგილი.

**კლუბის ხელმძღვანელი ორგანო
კლუბის პრეზიდენტი (ხელმძღვანელი)**

კლუბის პრეზიდენტი არჩეული უნდა იქნას ერთი წლის ვადით კლუბის წევრთა მიერ. კლუბის პრეზიდენტის გადაყენება შესაძლებელია:

პირადი განცხადების საფუძველზე,

წევრთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

კლუბის პრეზიდენტი უფლებამოსილია:

ჩაატაროს კლუბის სხდომა და მოამზადოს წინასწარ კლუბის სხდომისათვის მასალა;

უხელმძღვანელოს კლუბის საბჭოს და დაამტკიცოს საბჭოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებები;

წარადგინოს კლუბი სკოლის თვითმართველობის ორგანოებისადმი, ორგანიზაციებისადმი და საზოგადოებრივი გაერთიანებებისადმი.

პრეზიდენტი უფლებამოსილია უარი თქვას დაკავებულ თანამდებობაზე და წერილობის ამცნოს კლუბის წევრებს არა უგვიანეს ერთი თვისა.

კლუბის მდივანი

კლუბის მდივანი უნდა იქნას არჩეული კლუბის წევრების მიერ ერთი წლის ვადით. კლუბის მდივანი დაკავებული თანამდებობიდან შეიძლება განთავისუფლებულ იქნას პირადი განცხადების საფუძველზე, წევრთა გადაწყვეტილების საფუძველზე.

კლუბის მდივანი უფლებამოსილია:

ამცნოს კლუბის წევრებს და სტუმრებს კლუბის სხდომათა თარიღები და თემები;

აწარმოოს სხდომათა პროტოკოლები, გამოაქვეყნოს კლუბის მუშაობის ყოველდღიური ანგარიში, ან უზრუნველყოს მითითებული ანგარიშის ხელმისაწვდომობა;

კლუბის მოღვაწეობის შესახებ ამცნოს სკოლის მმართველ ორგანოს წარმომადგენლობას;

მოაწეროს ხელი აუცილებელ დოკუმენტებს კლუბის სახელით;

უარი თქვას დაკავებულ თანამდებობაზე, შეწყვიტოს დაკისრებულ მოვალეობათა შესრულება და ამცნოს გადაწყვეტილების შესახებ კლუბის ხელმძღვანელობას არა უგვიანეს ერთი თვისა.

კლუბის საბჭო

კლუბის საბჭო წარმოადგენს მუდმივ მოქმედ ხელმძღვანელ ორგანოს, რომელიც არჩეულ უნდა იქნას შპს „ევროპული სკოლის“ პედაგოგიური შემადგენლობისა და მოსწავლეების მიერ ერთი წლის ვადით.

კლუბის საბჭო იკრიბება თვეში ერთხელ.

კლუბის საბჭოს წევრთა რაოდენობა უნდა იყოს არა უმცირეს ოთხი ადამიანისა.

კლუბის საბჭო:

ასრულებს ორგანიზაციულ ფუნქციებს;

ამტკიცებს და ცვლის მოქმედების წესდებებს;

წაახალისებს კლუბის წევრებს აქტიური მუშაობისთვის, პასუხისმგებლობას აკისრებს მათ ქმედებებისთვის;

წყვეტს ყველა პრობლემას, რომელიც დაკავშირებულია კლუბის მოღვაწეობასთან.

ყველა გადაწყვეტილება მიიღება კლუბის საბჭოს წევრთა უმრავლესობაზე დაყრდნობით.

კლუბის წევრები

კლუბის წევრი შეიძლება იყოს სკოლის მე-5 მე-12 კლასელი მოსწავლე.

კლუბის წევრებს აქვთ შესაბამისი უფლებები და მოვალეობები.

კლუბის წევრებს აქვთ თანასწორი უფლებები და მოვალეობები.

კლუბში გაწევრიანება ხდება შემდეგი წესების დაცვით კლუბის სხდომაზე: კლუბის სხდომაზე გაწევრიანების მსურველი პირი უნდა წარდგეს პირადი განცხადებით.

გარიცხვაზე კლუბიდან შეიძლება როცა:

დაირღვევა კლუბის წესდება ან პირადი განცხადების საფუძველზე.

კლუბის წევრებს აქვთ შემდეგი უფლებები:

კლუბის მიერ ჩატარებულ ყველა ღონისძიებაში მონაწილეობის მიღება.

კლუბის ხელმძღვანელად აირჩიონ წევრი და არჩეულ იქნან თავად.

კლუბის ხელმძღვანელ ორგანოს მიაწოდონ წინადადებები, რომლებიც დაკავშირებულია კლუბის მოღვაწეობასთან.

კლუბის მიერ დაგეგმილ ღონისძიებებთან შესახებ ინფორმაციის მიღება.

მოღვაწეობის მიზანი და დავალებები:

- რუსული ენის და ლიტერატურის ღრმა და საფუძვლიანი შესწავლა-პოპულარიზაცია;
- ცოდნის გაღრმავება იმ ქვეყნის შესახებ, რომლის ენაც უნდა იქნას შესწავლილი;
- მოსწავლეებში წიგნიერებისადმი ინტერესის გაზრდა და ლიტერატურული გემოვნების დახვეწა;
- თეატრალური ხელოვნების პოპულარიზაცია;
- აქტიური მოსწავლეების აღმოჩენა და მათი შემოქმედებით უნარების განვითარება;
- მოსწავლეთა ინიციატივების პროექტების სახით განხორციელება;
- მოსწავლეთა თვითრეალიზაცია;
- ინტელექტუალური, კულტურული ღონისძიებების ორგანიზება;
- მოსწავლეების სასკოლო აქტივობებში ჩართვა;
- სასკოლო ცხოვრების გამრავალფეროვნება.

კლუბის ემბლემა



კლუბის დევიზი

“В клуб пришел, не хмурь лицо. Будь веселым до конца. Ты не зритель и не гость, а программы нашей гвоздь”.